ოქმი:**ო37. 3724248001**

თარიღი:**04/09/2024**

ოქმი N 21

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2024 წელი 4
სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

16:00- 16:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აროშიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

2. „გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომას დღის წესრიგით

გათვალისწინებული N 1 საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარედგინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას.

2. N2 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, დანარჩენ კომისიებს გასაცნობად.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი